დადგენილება №45/2020 სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2020-2021 **სასწავლო წლის საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამების აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ**

დადგენილება №45/2020,
09 ივლისი, 2020

დადგენილება №45/2020 სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2020-2021 **სასწავლო წლის საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამების აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 09 ივლისის N25 სხდომის ოქმის საფუძველზე.

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2020-2021 სასწავლო წლის საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამების აკადემიური **კალენდრი**.
2. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე www.tsc.edu.ge
3. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე